სამშობლო

წ. I

პარასკევი 12 ივნისი 1915 წ.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გა[illegible] ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 102 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 102

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, ან გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ტელეფონი № 76.

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სამშობლო“

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები. რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

20 ამა ივნისს ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ ქალ. ქუთაისში გარდაიცვალა

თ-დი მისეილ დიმიტრის ძე ნიკარაძე,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა დასატნობთ: ძე მისი მინა შვილებით, ასულნი: დესპინე მეძმარიაშვილისა შვილებით, ასინეთ ახვლედიანისა შვილებით, ძმა თავადი მეფქისედეკ დიმიტრის ძე ნიკარაძე და და, ქვრივი ნიფვდორა დიმიტრის ასული მდივნისა.

მიცვალებულის გასვენება დანიშნულია შაბათს, 13 ივნისს, ნაშუადღევის სამ საათზე, ორბირის ქუჩაზე, ალექსანდრე სეფერედიძის სახლიდან (ივანე მელიას სეული) დასაკრძალავათ საგვარეულო სასაფლაზე, სოფელ ზედა მაღდაკში.
პანაშვიდი ეოველ დღე, სადამოობით. 1—1—464.

სოფელ კეხში, მაცხოვრის ეკლესიაზე კვირას, 14 ივნისს, 12 საათზე
დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი

დიმიტრი მაქსიმეს ძის კაკაბაძის

სულის მოსახსენებლად.

რასაც აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და მეგობართ ქვრივი ნატალია კაკაბაძისა და შვილები მისი ილიკო, ვალერიან, კირილე, აკაკი, კატო, მარო, ქსენია და ანნა, რძალი ალექსანდრა და შვილიშვილი ბორია.
1—1—465.

ძმათა **ეორეოლაძეების** მაღაზიაში
(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი

საპნის გასაკეთებელი „სოდა“

აქვე იყიდება ეოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ეველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

ქუთაისის მეორე უმაღლესი პირველ-დაწყებით სასწავლებელი.
(Второе высшее начальное училище).

ამით აცხადებს, რომ განმეორებითი გამოცდა (переэкзаменовки) დაიწყება 3-ს აგვისტოს, სწავლა 7-ს, ხოლო მისაღები გამოცდები 27-ს იმავე აგვისტოს.
3—3—2456. ინსპექტორი პ. არაჩემია.

ქუთაისის ქალაქის გამგეობა საეოველთაოდ აცხადებს, რომ ქალაქის საავათმყოფოში, სადორიის აგარაკში, გაიხსნა **სამეოგზიარო განყოფილება**, სადაც ეოველ დროს, დღითა და ღამით შეიძლება მიღებულ იქნენ მშობიარენი. 14-2—234.

ექიმი ი. ჩარქეიანი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

ექიმი რელიგიოზნი დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების (ქირურგიულ და ქალურ ავათმყოფთა) მიღება თავის ძველ ბინაზე. ავათმყოფების მიღება—დილის 12 საათიდან 2 საათამდი.

ექიმი ე. ტ. ფულინი გადმოვიდა ქუთაისში თფილისის ქუჩაზე ჩიკვაიძის სახლებში. ღებულობს ყელისა, ცხვირისა და ყურებით ავათმყოფებს. ღით 2—3, საღ. 7—8. თ.

ძბილის ეძიმეები
მენაღარიშვილი ჯ. ტრუფანოვა.
ბათომიდან გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფარალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 8—2 და საღამოს 5—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

გაბრიელ იოსების ძე
ექიმი გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის
კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. **ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.**

ქალაქის თეატრი.

ალ. იმედაშვილის წარმოდგენა

კვირას, 14 ივნისს 1915 წ. წარმოდგენილი იქნება **ოტელო** ტრაგედია 5 მ. 9 ს. ვ. შექსპირისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.-ქ-ნი მ. მდივანი, ნ. ჯავახიშვილისა, ბ ბ. ალ. იმედაშვილი, ვ. შალიკაშვილი, ა. ყალაბეგიშვილი, ი. ბარველი, ვ. სარელი, სანდალიძე, ა. გუგუშვილი და სხვ. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობა

მოაგონებს განყოფილების წევრთ, რომ მდგომარე წლის 14 ივნისს **დილას თერმეტ საათზე** შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭოს დარბაზში დანიშნულია განყოფილების **წევრთა**

საზოგადო კრება.

განსახილველი საგნები: 1) სამი უკანასკნელი წლის ანგარიშების განხილვა; 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება; 3) გამგეობის მოხსენება სხვა და სხვა საგნებზე; 4) 1915 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება; 5) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა იმათ მაგიერ, რომელთაც სამსახურის ვადა გაუვიდათ.

1915 წლის ანგარიშები თავის დროზე დარიგებული იყო. 1913 და 1914 წლების ანგარიში ბბ. წევრთ შეუძლიათ მოიკითხონ შავი ქვის საბჭოში. 2—1

დოქტორი მედიცინისა, პრივატ-დოცენტი ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის.
გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

ქუთაისის ქალთა საზოგადოების
ღლიური კრება
შესდგება შაბათს, 13 ივნისს, ჭიათურის საბჭოს დარბაზში (თეატრის პირდაპირ) საღამოს 8 საათზე.
3—1—460.

ბეგია მ. მ. ძოხრეიძე
უცრის ყავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ომი

(ჰეტ. დეპ. სააგენტოსაგან).

პეტროგრადი. 10 ივნისი. ოფიციალური. 7 ივნისს, ვისლის მიდამოებში უმთავრეს პოზიციებიდან მტერს უკან დავახევინეთ. ლიუბლინის მიდამოებში მოწინააღმდეგეს იერიშები ჩვენმა არტილერიამ მოიგერია და მტერი თავის პოზიციებისაკენ გაბრუნდა. იმავე რაიონში, საღამოთი, მტერმა ძლიერი იერიში მოიტანა, ჩვენმა არტილერიამ მტრის წინსვლა შეაჩერა და მტრის კოლონები გაფანტა. ჩვენი ჯარის ერთი ნაწილი მდინარე ტანევიდან მდინარე ოიუხას სამხრეთის ნაპირებზე გადავიდა და ავსტრიელებზე იერიში მიიტანა. ჩვენ აქ დავიპირეთ მტრის თხრილები და ამოვსწყვიტეთ ავსტრიის მე-82-რე პოლკის მეოთხე ბატალიონი. ტყვეთ წამოვიყვანეთ 8 აფიცერი და 340 ჯარის კაცი. ბრუნინის მიდამოებში სასტიკი ბრძოლაა. დობროსინის რაიონში ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ 180 ჯარის კაცი. 9 ივნისს, ჩვენ გავფანტეთ ნილჩევის ტყიდან 20 ვერსზე გამოსული მტრის ჯარები. დნესტრიდან რაზვადუვთან გადმოსული ავსტრიელთა 20 მზვერავი; ჩვენ დავატყვევეთ.

8 ივნის, საღამოს 6 საათზე, ბატალიონის უფროსი კოსმანოვიჩი თავის რაზმით გადვიდა მალდავას კუნძულზე და ჩვენი არტილერიის დახმარებით ტყვეთ წამოიყვანა ერთი აფიცერი, 29 ჯარის კაცი, დაიპირა საველო საავათმყოფო და ტელეფონის აპარატი.

9 ივნისს, გარადუკსთან ჩვენი ოთხი მოხალისე დაეცა გერმანელთა სადარაჯოს, ტყვეთ წამოიყვანეს 2 გერმანელი, და ოთხიც ხიშტებით დახვრიტეს. ჩვენმა მფრინავებმა სადგურ სოლდას ყუმბარები დაუშინეს და გერმანელები იძულებული იყვენ მიეტოვებიათ ნაღმებზე მუშაობა. ვისლის მარცხენა ნაპირზე ჩვენმა ჯარის ერთმა ნაწილმა კორნელინთან წინ წაიწია და გერმანელები თხრილებიდან გაყარა. მტერმა დაკარგული ადგილების დასაბრუნებლათ კვლავ შეაგროვა ძალები და სულის შემხუთველ გაზებით და ძლიერი არტილერიის ცეცხლით იერიში მოიტანა, მაგრამ მოგერებულ იქნა და დიდათ დავაზიანეთ. ამ ბრძოლაში ჩვენ ზარალი არ მოგვსვლია, პილიცის მარჯვენა ნაპირზე ავსტრიელების ქვეითა ბრიგადამ ლვოვის მიდამოებში ჩვენ მოწინავე ჯარზე იერიში მიიტანა, მაგრამ დროზე მოსული მაშველი ჯარით ჩვენ მათი იერიში შევაჩერეთ და უკუვაქცევეთ. ამ ბრძოლაში ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ 200 ჯარის კაცი, ამათ რიცხვში 4 აფიცერია.

გერმანელების მფრინავებმა რამოდენიმე ყუმბარა ესროლეს იმ ადგილებს, სადაც ჩვენი ჯარი სდგას, მაგრამ არაფერი ზიანი არ მოუტანია.

კავკასიის ჯარის შტაბიდან.

პეტროგრადი. ოფიციალური. კავკასიის ფრონტზე თვალსაჩინო ბრძოლა არ მომხდარა. ზღვის პირად ჩვეულებრივი ბრძოლაა.

პირველი ხაზის დაპერის შემდეგ წინსვლა ჩვენი მიკავშირე ჯარისა ცოტათი შეჩერდა. რადგან საჭირო იყო ყველა აღებული თხრილების გამაგრება და მათი გამოყენება ახალ იერიშებისათვის. ფრანგების წინსვლის შესაჩერებლათ გერმანელებმა თავი მოუყარეს მრავალ მძიმე არტილერიას და დღეს ბრძოლა ღებულობს უსასტიკეს იერიშის ხასიათს. ასეთი ბრძოლა გრძელდება ერთი კვირის განმავლობაში და მოითხოვს მთელ ძალღონეს და ურიცხვს ხარჯებს, დასავლეთ ფრონტის ომი დიდს მსხვერპლს იწვევს, მაგრამ ფრანგები დაუღალავათ ეწევიან ამ ხანგრძლივს ბრძოლას. ფრანგებს მიაქვთ იერიში არა მარტო ჩრდილოეთით, არასზე, არამედ დასავლეთითაც სუასონთან და ელზასთან მიუნსტერის ველზე, სადაც დიდი ბრძოლაა გაჩაღებული.

ლონდონი. 10 ივნისი. დარდანელის არმიის ცნობა. ერთი დღედაღამის სასტიკი ბრძოლის შემდეგ ჩვენ თვალსაჩინოთ წინ წავიწიეთ. გუშინ დილით გენერალმა გურომ იერიში მოიტანა მტრის მძლავრ სიმაგრეებზე კერევესდერის ხაზზე. შუადღისით ფრანგების მეორე დივიზიამ იერიშით აიღო ოსმალების ყველა თხრილები, პირველისა და მეორე ხაზებისა. ფრანგების პირველმა დივიზიამ სასტიკი ბრძოლის შემდეგ კიდევ დაიპირა ოსმალების თხრილები, რომელიც ფრანგების ფრონტის პირდაპირ მდებარეობდა, მაგრამ ძლიერი კონტრ-იერიშით იძულებული გახდა უკან დაწეულიყო.

მაშინ მივმართეთ ბრიტანიის იარაღს. გაუბიცების და ფრანგების არტილერიის დახმარებით ერთათ, ყუმბარები დაუშინეთ ოსმალების მარცხენა ფრთას და ყველა თხრილები დავიბრუნეთ. მიუხედავათ ღამის ძლიერი იერიშებისა, ჩვენ შევინარჩუნეთ ყველა აღებული პოზიციები და მტერს დიდი ზიანი მივაყენეთ. ოსმალების ჯარის ერთი ბატალიონი მოსაშველებლათ წამოსული, ჩვენმა ჰაეროპლანებმა დაინახა და 75 მილიმეტრიანი ზარბაზნებით სრულიათ ამოვწყვიტეთ. ფრანგების ჯავშნოსანმა „სენლუიმ“ აზიის ნაპირებში ბრძოლის დროს. თავი დიდათ ისახელა.

პეტროგრადი. უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბიდან. 10 ივნისი. შაველის მიდამოებში ცვლილება არ მომხდარა. 9 ივნისს, სამხრეთით რაიგროდის ტბებიდან მდინარე ეგრაჟნუზე გადასულმა ჩვენი ჯარის ერთმა ნაწილმა დაიპირა ს. კულტგი. და სრულიათ ამოსწყვიტა გერმანელების ერთი როტა. ლომჟინის მხრით ძლიერი არტილერიის სროლაა. ტენევზე სოფ. ლიუცლიპეცთან ჩვენ მოვიგერიეთ მტრის იერიში. რავა-რუსკას დასავლეთით რამოდენიმე სოფლებიდან მტერმა უკან დაიწია. სოფ. გუტა ზელენთან ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა ამოწყვიტა შტრის 3 როტა. მეორე ღამეს ლვოვის გზაზე სასტიკი ბრძოლის შემდეგ ჩვენ შევაჩერეთ მტრის იერიში. ს. ბრეჟეზოვიცთან და მდინარე შჩერეკთან მტერს დიდი ზარალი მივაყენეთ, მაგრამ მან შესძლო ქ. ეოლკევისაკენ წაწევა, რომლის გამო 9 ივნისს ჩვენმა ჯარმა დასტოვა ლვოვი და ახალი ფრონტისაკენ გასწია. დნესტრზე ბრძოლა გაგრძელდა ს. კოსმერჟინის სამხრეთ გზაზე და ს. უნიშიდან ს. ლუკისაკენ ხელ-ჩარ-

თული ბრძოლის შემდეგ ჩვენ ხელთ ვიგდეთ 1000-მდე ტყვე.

პეტროგრადი. ოფიციალური. 10 ივნისს მისი იმპერატორის უდიდებულესობა 10 ივნისს. ცარსკაია სელოდან მომქმედ ჯარში წაბრძანდა.

ბარაზი. ოფიციალური. 10 ივნისი. წასულ ღამეს, შორს მსროლელი ზარბაზნები დაუშინეს დიუნკერტს.

ქალაქში ჩავარდა 15 ყუმბარა და რამდენიმე მშვიდობიანი მცხოვრები იმსხეერპლა.

ბელგიელმა ჯარმა გერმანელების თხრილები დაიპირა. გერმანელების გუშინდელი კონტრ-იერიშები ჩვენგან დაპყრილ პოზიციებზე ყველგან შეჩერებული იყო. მტერი სარგებლობს ყუმბარებით და სულის შემხუთველ გაზებით. არგონში ბინერვილის გზაზე არაფერი ცვლილება არ მოძხდარა. ლოტარინგიაში ახალი იერიშით ჩვენ 300 მეტრზე ჩრდილოეთით წინ წავიწიეთ და ხელთ ვიგდეთ რამოდენიმე ტყვე. ჩვენ გავიწიეთ აგრეთვე მატიცერალისაკენ სამხრეთ-ჩრდილოეთით ზოდერმახისაკენ, ხელთ ვიგდეთ რამდენიმე ტყვე და სამი ტყვიის მფრქვეველი.

ბარაზი. ოფიც. 10 ივნისი. ლოტარინგიის აღმოსავლეთით ლენტრესთან, მტრის კონტრ-იერიში ჩვენმა არტილერიამ შეაჩერა. ვოგეზებში მდ. ფეხტის ორივე შტოების შორის, ზოდერნასისაკენ ჩვენ წინ მივდივართ.

პეტროგრადი. 10 ივნისი. ჩვენი მოკავშირე საფრანგეთის ჯარის ოპერაციები ჩრდილოეთით არრასზე სასურველათ ვითარდება. მიუხედავათ მტრის ძლიერი გამაგრებისა, ჩვენმა მოკავშირეებმა შესძლეს გერმანელ თხრილების პირველი ხაზის სრულიათ დანგრევა.

ქურნლ-გაზეთებიდან.

„ტაიმსის“ აზრი.

გაზეთი „ტაიმსი“ სწერს:

კოალიციის განადგურება გერმანელებს იმ საშუალებით უნდათ, რომ ჯერ რუსეთი დაამარცხონ. რუსებისაგან გალიციის დატოვება არ უნდა გვაღონებდეს. თუ გინდა გალიცია დროებით დაეკარგოს რუსეთს, ავსტრო-გერმანიის ჯარი მაინც ვერ მოახერხებს რუსეთში შესვლას. ასეთი ოპერაცია უსათუოთ რიცხვითი ოპერაციას მოითხოვს, რასაც ვერ შესძლებს გერმანია-ავსტრია. მაგრამ მაინც უნდა ვერიდოთ ყოველგვარ ავანტიურას, რომელიც მიანიჭემს გერმანელებს ისეთ სტრატეგიულ გამარჯვებას, როგორიც იყო ულმა და სედანი.

ახალი იარაღები.

როგორც „ნოვ. ვრ.“ იუწყება ესსენში დამთავრდა ახალი ქარხანის შენება, რომელიც კრუპპის ფირმამ მოაწყო. სამუშაოთ ამ ქარხანაში მოწვეულნი არიან გამოცდილი მუშები, რომელთაც ქარხნის ადმინისტრაცია ენდობა. ამ ქარხანაში ჩამოასხმენ იმ იარაღებს, რომელთა პროექტი ამ რამდენიმე თვის წინეთ მოიწონა გერმანიის „გენერალურმა შტაბმა. ფიქრობენ, გერმანელებმა გამოიგონეს ახალი უზარდ მაზარი ზარბაზანი, რომელიც გაელვარებულ სითხეს ისვრის დიდ მანძილზედ და საოცარის ზედ მიწერით.

„ქარიშხალური ცეცხლი“.

„ნოვოე ვრემიას“ კორესპონდენტი, სწერს „ქარიშხალური ცეცხლი“ საუცხოთ სისწორით გამოთქმული სინამდვილეა. შეუძლებელია ან წარმოიდგინოთ, ან გადასცეთ ვისმეს, თუ რა არის „ქარიშხალური ცეცხლი“. საჭიროა ერთჯელ მაინც საკუთრივ განიხილოთ იგი, რომ მთელი სიცოცხლეს შეგრჩეთ ეს შთაბეჭდილება. „ქარიშხალურ ცეცხლის“ პირველი შემსწრე ჰკარგავს გულ-გონებას. ირგვლივ ყველაფერი სდუღს და ჩოჩქოლობს, როგორც გამდნარი ფოლადი ბესემეროვის ქუჩაში. ჰაერი ძლიერ მოძრაობაში მოდის; ძარღვები არა ადამიანურად უნდა დასჭიმო რომ ადგილზე გაჩერდე. 6. 8 და 12 დიუმიანები წამ-უწუმ სკდებიან, და ყველა ეს სწივის, შიშინებს, გრიალებს საოცრად. 12 დიუმიანები გუგუნებენ და რახრახებენ, როგორც საკურიერო მატარებელი, ოღონდ ღრუბლებში მიმქროლი. საშინელი ქუხილი დგას უწყვეტლივ. შიშობ ყურის აპკა არ გაგებეს. მიწაზედ ზლაზვნით დგას ლურჯი შავი და თეთრი ბოლის სვეტები. ეს საშინელება ხდება კარგა მოშორებით, უშიშარ ადგილას და რა უნდა ხდებოდეს თვით ბრძოლის შუაგულში?! საშინელია, საშინელი!

პოლიტიკური პარტიები გერმანიაში.

ალორძინება და განვითარება პოლიტიკურ პარტიებისა გერმანიაში.

გერმანულ კონსერვატიული პარტია.

ეს პარტია იყოფა ორ ფრაქციათ: 1) გერმანულ-კონსერვატიულ ფრაქციათ ს 2) საიმპერიო ანუ თავისუფალ კონსერვატიულ ფრაქციათ. მათ აქვთ საერთო პროგრამმა და ერთი და იგივე მიზანი, მხოლოდ ცოტა რამეში განსხვავდებიან, მაგ. როგორც არის სკოლისა, სარწმუნოებისა და შინაური პოლიტიკის საკითხები. ამისათვის პრეზიდიუმის არჩევნების დროს რეიხსტაგში ისინი ერთ პარტიათ ითვლებიან.

გერმანულ კონსერვატიულ პარტიის დედა-ბოძათ ითვლ[illegible]ლდიდარი და საშუალო თავად-აზნაურობა. უმთავრესად პრუსიელი მემამულენი, რომელნიც იცავენ ფეოდალთა იდეალს, ანუ ეგრეთ წოდებულს „იუნკრებისას“.

კონსერვატიული პარტიები სცდილობენ შეინახონ დღემანდელი სახელმწიფოებრივი ცხოვრება და ზოგიერთს საკითხში ესწრაფებიან ძველი წესწყობილების წესდების შემოღებას.

1876 წ. პარტიის კრებაზე მათ მიიღეს შემდეგი პროგრამმა; ჩვენ გვსურს:

1. ჩვენ სამშობლოისაგან მოპოვებულ ერთობის განმტკიცება, მისი გაუმჯობესება ეროვნულ თვალსაზრისით საერთო იმპერიის კონსტიტუციის ნიადაგზე.

2. მიუცილებელ საჭირო დამოუკიდებლობის და თავისუფლების შენარჩუნება ცალკე სახელმწიფოებისა, პროვინციებისა და იმპერიის სხვა და სხვა ტომთა.

3. განვითარება და განმტკიცება სახალხო და კერძო უფლებათა რეალურ და ისტორიულ დებულების მიხედვით, რომ მით უზრუნველყოთ სიმტკიცე მთელი ჩვენი პოლიტიკური, სოციალური და სულიერი არსებობისა.

4. გაძლიერება მონარქიულ მთავრობის უფლებათა, მონაწილეობა მთელი ერის კანონმდებლობაში, თვით-მმართველობაში და საყოველთაო არჩევაში.

5. დაცვა და განმტკიცება საქრისტიანო და საეკლესიო დაწესებულებათა, კონფესიულ ქრისტიანულ სკოლათა; უფლება სახელმწიფოსი ეკლესიასთან თავის დამოკიდებულობის მოწყობისა, ყოველ ძალდატანების გარეშე ეკლესიის შინაურ ცხოვრებაზე და კერძოთ სინიდისზე.

6. ბრძოლა უსაზღვრო თავისუფლების და მფარველ განწყოფილების წინააღმდეგ მსხვილ კაპიტალისტებთან.

სამართლიანი დაცვა მიწის მესაკუთრეთა და ხელოსანთა ინტერესებისა.

7. ბრძოლა სოციალისტურ ცრუ მოძღვრების ბოროტ გავლენასთან საფაბრიკო კანონმდებლობის შეზღუდვის საშუალებით.

პრუსიელ თ.-აზნაურთა მონარქიულ რწმენის გამომხატველი ესპროგრამა მთლიანათ ვერ იცავდა, ვერც მიზანს და ვერც მისწრაფებას მთელი კონსერვატორებისას გერმანიაში. ამისათვის 1902 წ. ეს პროგრამა ხელახლა გადასინჯულ იქნა და შეიტანეს ახალი მუხლები,—უფრო ნათლათ გამომხატველი და კონსერვატიული რეაქციონური მისწრაფებისა:

„ჩვენ გვსურს, რომ მონარქია ღვთივ შემწეობით დარჩეს ხელუხლებელი“.

„ბრძოლა ებრაელთა გავლენის წინააღმდეგ, რომელიც შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში სხვა და სხვა სახით და ათახსირებს მას“.

„ბრძოლა სოციალისტების არა-ეროვნულ და დამგრევ მისწრაფების წინააღმდეგ.

კონსერვატიულ პარტიებს, მიუხედავათ მცირე რიცხოვანობისა რეიხსტაგში დიდი გავლენა აქვთ სახელმწიფო ცხოვრების მსვლელობაზე.

მომეტებულ შემთხვევაში იმათი წრიდან ნიშნავენ მინისტრებს, და სხვა დიდ მოხელეებს. ძლიერი გავლენა აქვთ მათ პრუსსის ლანდტაგში, სადაც ძველი სამკლასიანი არჩევანთა სისტემა მათ უმრავლესობას აძლევს.

1871 წ. მათ რეიხსტაგში ჰყავდათ 54 კაცი, 1881 წ.—50 კ. 1890 წ.—73 კ. 1907 წ.—62 კ. 1912 წ.—42 კ.

მათი ორგანოებიდან უფრო ცნობილია გაზეთი „Kreuzzeitunb“ (Крестовая газета) და „Reichsbot“ (Имперскій вѣстникъ).

საიმპერიო თავისუფალი კონსერვატიული პარტია.

ეს პარტია შესდგა 1866 წ. მისი პროგრამმა ცოტათი განსხვავდება გერმანულ კონსერვატიულ პროგრამმისაგან.

„თავისუფალი კონსერვატიული“ პარტია მაშინ ჩამოშორდა „გერმანულ კონსერვატიულს“, როდესაც უკანასკნელმა უარყო ბისმარკის პოლიტიკა, როგორც მაგალითად ჩრდილოეთ გერმანიის კავშირის დაარსება, ანექსია და სხვა. მაშინ როდესაც „თავისუფალი კონსერვატიული“ პარტია მოითხოვს ბრძოლას ს. დემოკრატებთან და სურთ გაიყვანონ კანონი წინააღმდეგ სოციალისტთა, ეს პარტია უფრო მოთმენით ეპყრობა კონსტიტუციის დებულებას.

თ. კ. პარტია მოითხოვს არმიის დაფლოტის გაძლიერებას, გადასახადის გადიდებას, მხოლოთ კულტურულ საკითხში მოითხოვს სკოლების განთავისუფლებას სამღვდელოების ზედამხედველობისაგან. ეს პარტია შესდგება განათლებულ თავადაზნაურობისაგან და მსხვილ მრეწველთაგან.

რეიხსტაგში ისენი გამოდიან გერმანულ კონსერვატიულ პარტიასთან ერთათ. 1871 წ. რეიხსტაგში მათ ჰყავდათ 38 დეპუტატი, 1881 წ.—28, 1890 წ.—20, 1907 წ. არჩევნების დროს მათ მიიღეს 25 მანდატი, 1912 წ.—13. მათი ორგანო „Die Post“-ია რომელიც გამოდის ბერლინში.

სოფლის მესაკუთრეთა კავშირი.

კონსერვატორებმა თავიანთი გავლენის გასაძლიერებლათ გამოიგონეს სპეციალური არა პარტიული კავშირი, სოფლის მესაკუთრეთა ინტერესების დასაცველათ. და ამისათვის 1893 წ. დაარსეს „კავშირი სოფლის მესაკუთრეთა“, [illegible] მელნიც თავიანთ [illegible] მარტავენ: ჩვენ გვსურს შევაერთოთ ყველა ის პირნი, ვინც დაინტერესებულია სასოფლო მეურნეობაში, მიუხედავათ თავიანთი პოლიტიკური, პარტიულ დებულობისა და ქონებრივი რაოდენობისა, რომ ამით უზრუნველყოთ სოფლის მესაკუთრეთა გავლენა კანონდებლობაზე და შევქმნათ მათი ინტერესების წარმომადგენელობა საპარლამენტო დაწესებულებებში.

„სოფლის მესაკუთრეთა კავშირი“ იმყოფება კონსერვატიული პარტიების სრულ გავლენის ქვეშ. მან თავისი ენერგიული აგიტაციით იმდენათ შეაგროვა სოფლის მესაკუთრეთა რიცხვი, რომ შექმნა ძლიერი ორგანიზაცია.

არჩევნში ეს კავშირი მხარს უჭერს კონსერვატორებს და ეროვნულ ლიბერალებს, მათ ოფიციალურ ორგანოთ ითვლება „Deutsche Saberzeitung“.

დანარჩენი მემარჯვენე პარტიები.

მემარჯვენე პოლიტიკის ჯხუფს ეკუთვნის აგრეთვე: „სოც. ქრისტიანული“ „გერმანულ სოციალური“ და „გერმანულ რეფორმატიული“ პარტიები. ყველა ეს პარტიები იმდენათ მცირე მნიშვნელოვანია, როგორც რიცხვით ისე პოლიტიკურ გავლენით, რომ მათ უფრო იცნობენ ერთი საერთო სახელით „ანტისემიტებათ, რადგან მათი პროგრამმა აშკარა ანტისემიტიურია. თავიანთი საზოგადო და სოციალური მდგომარეობით ამ პარტიების წევრები ეკუთვნიან საშუალო ვაჭრებს და კლასებს. ანტისემიტურ პარტიის დამმაარსებლათ ითვლება პასტორი შტეკერი, სასახლის მოძღვარი იმპერატორ ვიჰელმისა, ყოფილი მწევრი გერმანულ კონსერვატიულ პარტიისა.

ქრისტიანულ-სოციალური და მუშათა ინტერესების დაცვის იდეიას პრაპაგანდით ისენი შეიჭრენ ფართო მასსაში, სადაც პირველ ხანებში საკმარისი მომხრეები მოიპოვეს. შემდეგ თვით პარტიაში ასტყდა უთანხმოება და 1893 წ. გაითიშენ და დაარსდა „გერმანულ რეფორმისტების“ პარტია.

ყველა ესენი კონსერვატიულ პარტიებს ემხრობიან. ნახევარი მათი პროგრამმა ანტისემიტიურია. ესენი მოითხოვენ: 1) გერმანიაში მცხოვრებ ებრაელთა სწორუფლების მოსპობას და მათ დაქვემდებარებას განსაკუთრებულ კანონის ქვეშ. აღკრძალვას ებრაელთა ემიგრაციისას გერმანიაში და მათ გამორიცხვას სამხედრო და სახელმწიფო სამსახურიდან, და სხვა.

გმირი ქალი, მათე უაჩაღად წოდებული.

(მე 18 საუკუნის საქართველოს ისტორიიდან).

ვუძღვნი ჩემ ძვირფას დედას.

მათე—მაიას ჭირიმე!
იყავ ფალავან-გმირია,
უზნეო ბატონებისა
სიკვდიდმდე დიდი ჭირია...
(ხალხური ლექსი).

წარმოიდგინეთ თვალწინ ლამაზი და საუცხოვო ტანადობის ყმაწვილი გლეხკაცი. მის სუფთა პირისახეზე ჯერ არა სჩანს წვერ-ულვაში. ეს ოცი წლის ჭაბუკი თავით ფეხამდი შეიარაღებულია. სოფლიდან მოსული თფილისში, იგი სდგას სასახლის წინ იმ მიზნით, რომ ინახულოს მეფე ერეკლე. ამ გლეხის ყოველ მიხვრა-მოხვრას რაღაც არა-ჩვეულებრივი მღელვარება ეტყობა. ცხადია, მას დიდი საქმე აქვს მეფესთან.

ნეტა ვინ არის ეს ახალგაზდა მხედარი? ან რა მიზნით მოსულა იგი მეფე ერეკლესთან?..

ეს ოცი წლის მხედარი, მამაკაცურად ჩაცმული და შეიარაღებული, ქართველი ქალია სოფელ წყნეთიდან. მისი სახელია მაია. ერთ დროს მაია—წყნეთელი ქართლ-კახეთში იყო ცნობილი მათე უაჩაღის სახელით.

თავის დროზე ამ სახელ-განთქმულმა დიაცმა მეტად აღელვებული ცხოვრება გაატარა და ბევრი, ენით აუწერელი, უბედურება გამოიარა; მაგრამ იმ ტანჯვა-ვაებამ, რომელიც მუხთალმა ბედმა ამ ქალს არგუნა, ვერ დასძლია მისი ძლიერი სული, ვერ მიიყვანა იგი სასოწარკვეთილებამდე. პირიქით ამ უბედურებამ მისი ხასიათი ოდენ გაიაგრა, გააკეთა [illegible]ნაობა; ჩაუკვირდეთ იმ ქართველი ქალის თავგადასავალს, რომელიც ბუნებამ ასე უხვად დააჯილდოვა იშვიათი თვისებებით.

ერთ ხალხურ ლექსში ასეა აწერილი ამ „ფალავან-გმირი“ დიაცის ცხოვრება:

„ქართლიდამ გამოვეპარე
ბატონს პატარა ქალიო,
თან წამოვიღე საგძლათა
შიში და ცრემლის ღვარიო;
ორიალეთის ხევ ღნარებში
შევინახევი თავიო.
მერმე სომხითში წაველი,
შიშისგან ვიხსენ თავიო.
იქ ერეკლე ამობრძანდა
შევკადრე სიტყვა აიო:
ბატონო მეფევ! რად მიყავ,
რად მიყავ ესე ავიო?
ომი მოგვიხდა თათრებთან,
სულ გასწყდნენ წყნეთელებიო,
აღარა დარჩნენ გმირები,
ატირდნენ კლდე და მთებიო.
მეც ტყვეთა მიპყრეს, შემბოჭეს,
სპარსეთში ვიხსენ თავიო,
მაგრამ ერევნის ბოლოსა
დავკარგე თავი ვაიო...

ამ პატარა ლექსში, როგორც ხედავთ, მოკლედ არის აღნუსხვილი მაიას თავგადასავალი.

ახლა მე ვეცდები უფრო დაწვრილებით აგიწეროთ ამ ქალის ცხოვრება; ვეცდები სხვა და სხვა ხალხური ლექსებით გავაშუქო მისი პიროვნება; გარდა ამისა, მე ვისარგებლებ „თვით—მნახველ და მოსწრე პირთაგან დატოვებულ მოთხრობითაც“...

II.

მაია დაიბადა სოფელ წყნეთში, თბილისის ახლო, მე-18 საუკუნის მეორმოცე წლებში, მისი მამა იყო საბატონო წყნეთელი გლეხ-კაცი, დედა კი მცხეთელი ქალია.

ყმაწვილობისას მაია მსახურობდა თავის ბატონის სახლში. ის პატარაობითვე ძალიან ლამაზი ყოფილა. ასაკში რო მოვიდა, მისმა სილამაზემ და საუცხოვო ტანადობამ ბევრს მოხიბლა თვალები. გავიდა რამოდენიმე ხანი და თვით ბატონმა მიაყენა მაიას შეურაცყოფა...

ნამუს-ახდილი ქალიშვილის ამბავი მალე გაიგეს მისმა მშობლებმა და ჯავრით დაიხოცნენ. ამბობენ, რომ მამის სულიერი ტანჯვა იქამდი მივიდა, რომ მან ტყეში ჩამოიხრჩო თავიო, დედა კი სიმშილისაგან მომკვდარა... ასე მოულოდნელათ გარყვნილი ბატონის საქციელის გამო მოისპო გლეხის პატიოსანი ოჯახი.

აი როგორ გადმოგვცემს ხალხური ლექსი ამ სამწუხარო ამბავსა:

„ადრე მოუკვდა მას დედა
სოფელ მცხეთაში გაზდილი,
მამამაც თავი მოიკლა,
ვერ აიტანა ქადილი...
უპატრონოთა გდებული
კამეჩიც მოკვდა ბენია,
გდია ყვავ-ყორნის საჭმელად,
გაუშვერია ფეხია. .

დარჩა საბრალო მაია ობლად, სრულიად უპატრონო. პირველ ხნობით თავზარდაცემულმა გოგომ არ იცოდა, რა ექნა. ის უსაზღვროდ იტანჯებოდა და თვალ-ცრემლიანი მწარედ დასტიროდა ბედს. მაია არსაიდამ არ მოელოდა არც ნუგეშს, არც დახმარებას. მიუხედავათ ასეთ აუტანელ მდგომარეობისა, სულით ძლიერი ახალგაზდა ქალი სასოწარკვეთილებას არ მიეცა; ბევრი ფიქრის შემდეგ ადგა და ბოროტ ბატონს სამუდამოთ მოშორდა. გაიპარა ფარულად სოფელ[illegible]ნითში. იქ ჩაიცვა მამის ტანსაცმელი; შემოირტყა ხმალ-ხანჯალი, ხელში აიღო თოფი.

შეიარაღებულმა მაიამ სწრაფი ნაბიჯით გასწია თბილისისაკენ იმ მიზნით, რომ ენახა პირადათ მეფე ერეკლე. მას უნდა ეჩივლა თავის ბატონზე, რომელმაც შელახა მისი ქალწულობა და ამით აუწერელი უბედურება მიაყენა უდანაშაულო ოჯახს...

თფილისში როგორც იყო მაიამ ინახულა მეფე ერეკლე, მაგრამ ლაპარაკის დროს თავის შეურაცყოფაზე კრინტიც არ დაუძრავს. კაცურად ჩაცმულმა მაიამ, რაღაც შთაგონების ძალით, არ მოინდომა თავის ვინაობის გამოაშკარავება. ის იმ წუთებში ძალიან ღელავდა. პირველად სახელ-განთქმულ მეფის დანახვაზე ენა დაება, მაგრამ ბოლოს ღონე მოიკრიბა და გაბედულათ მოახსენა ქართლ-კახეთის მბძანებელს შემდეგი:

— მე ვარ ერთი საბრალო ობოლი; არც მშობლები მყავს, არც ბატონი. გიახელით, მეფევ, თქვენს წინაშე იმ მიზნით, რომ ყმად ამიყვანოთ... მინდა ერთგულად გემსახუროთ, მინდა თქვენის ბრძანებით დავიცვა ქვრივ-ოხერ, ობოლ-ქალია. ჩემი სახელი—მათე...

ერთ-ერთ ხალხურ ლექსში ხელოვნურად და მარტივად არის აწერილი მეფის და მაიას შეხვედრა—საუბარი:

„შავთვალა, ტანით ბრგე გოგომ
ჩაიცვა ვაჟკაცურადა,
თოფ—იარაღი აისხა
იქცევა მამაცურადა.
პატარა კახსა ეახლა,
რა კარგი სანახავია!..
ხირიმი* შეატრიალა,
დაბლა დაუკრა თავია...
— ვინა ხარ, ძმაო, საიდან

*) ხირიმი—თოფი.

„გერმანულ-რეფორმისტების“ პარტიის პროგრამმა კიდევ უფრო სასტიკათ ეპყრობა ებრაელებს. მიუხედავათ ამისა ესენი იცავენ საყოველთაო არჩევნების უფლებას, თვითმმართველობას და მუშათა კანონმდებლობას.

1899 წ. განხეთქილება მოხდა ამ პარტიებში და გაჩნდა პარტია „გერმანულ სოციალისტებისა“ რომლებიც ამავე მიზანს ემსახურებიან.

ანტისემიტების გავლენა სახელმწიფოში სრულიად უმნიშვნელოა. 1887 წ. რეიხსტაგში მათ ჰყავდათ 1 დეპუტატი, 1890 წ.—5, 1893—16, 1896 წ.—13. 1903 წ.—11. 1907 წ.—15. 1912 წ.—11 დ. „ბრაუნშვეიგის“ და „გერმანულ ხალხის კავშირი“ და სხვა წვრილი ჯგუფები განმეორებაა ერთი მხრით კონსერვატიული პარტიების პროგრამის და მეორე მხრით ანტისემიტების. რეიხსტაგში მათ წარმომადგენელნი არა ჰყავთ.

ამერელი ქალი.

(შემდეგი იქნება).

ქართული პრესა.

გაზეთი **„საქართველო“** სამართლიანათ სწერს.

„საქართველო, სანამ კულტურულად და ეკონომიურად გაერთიანებას მოასწრობდა, გარდაიქმნა სხვა და სხვა უცხო თეორიებისა და შეხედულებათა სამყნობ ბაღად. მებაღეები საუკეთესო პრიალა დანებით შეიარაღებულნი უხვად აპენვდნენ „ცა ფირუზ ხმელეთ ზურმუხტ“ მხარეში ახალ-ახალსა და უცნაურ აზრებს, მაგრამ, როგორც უკვდავი ილია ამბობდა:

„არსაიდამ ხმა, არსით ძახილი!!.

მშობელი შობილს არრას მეტყოდა“...

უცხო აზრებით შეიარაღებული დოსტაქრები პირველად უიმედობას მიეცნენ. „მშობელი შობილს არრას ეტყოდა“...

სძინავდა საქართველოს. მისი გამოღვიძების წამი ამავე დროს უნდა ყოფილიყო რაღაც დიადი შენჯღრევის მსგავსიც, რადგან საუკუნეებით მძინარ ერს უცბად არ შეეძლო თავის სულიერ ძალთა სასწორით და უცდომლად ამუშაგნა, ამოქმედება. დიდი ხნის ნამძინარი გამოღვიძების დროს დარეტიანებული ულაზათოდ წამოვარდება ხოლმე. ასე უნდა მომხდარიყო ერის ცხოვრებაშიაც. ცხოვრება დუნე და აუჩქარებელი, საზოგადოებრივი საკითხი მივიწყებული, მიჩქმალული, სრული უიმედობა, უსასოება და ასეთ დროს „დემოსის“, ხალხის თვითმოქმედებაზე განა შეიძლებოდა ლაპარაკი? დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მეცხრამეტე საუკუნის გასულს, როცა როგორც რუსეთში, ისე საქართველოშიაც ისახებოდა სახალხო მოძრაობა, რომელი მომქმედი პოლიტიკური პარტიაც უნდა მისულიყო ხალხთან, უკანასკნელი ყველას დაენდობოდა, ყველას გაჰყვებოდა, ვინაიდან ეკონომიურად და პოლიტიკურად დაბეჩავებულ ერს ესაჭიროება წინამძღოლი, დამრიგებელი, რომ შემდეგ მანამ დაფარული ძალა თვით თავისსავე მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მოემართა, უკმაყოფილების გრძნობით შეპყრობილი ხალხი—ეს გულის ის წმინდა ფიცარია, რომელზედაც, ფილოსოფოს ლოკკის სიტყვით, ყოველისფერის დაწერა შეიძლება. ხალხი ელოდა მესიას, უკეთ რომ ვსთქვათ, მესია თვით მოელოდა ხალხს, ხოლო უკანასკნელმა თავის ნდობით აღჭურა მაცხოვარი.

იყო ეს მოძრაობა განმათავისუფლებელი და განმაახლებელი აღორძინება-რენესანსი? ეს ცალკე საგანია, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ საქართველომ რაც მაშინ ენერგია დახარჯა, ყველა ის თუ არა, ნაწილი მაინც ეროვნული ვინაობის საკითხის გამორკვევას რომ მოხმარებოდა, მაშინ ჩვენი ერი დღევანდელ უსაშინლესს ომის დროს უნებლიე მაცქერალი არ იქნებოდა ისტორიულ ქარტეხილისა. ჩვენ რომ ფუქსავატად არ გაგვნიავებინა ჩვენი ენერგია, ეხლა შემუშავებული გვექნებოდა ეროვნული იდეალის, ეროვნული პროგრამის ყოველივე წვრილმანი, გვექნებოდა ერთი ეროვნული კულტურული პროგრამა და იმის მიხედვით გავაშუქებდით ყოველგვარ საჭირბოროტო საკითხებს. ეხლა კი“...

ახლა კი... კიდევ ნახევარ საუკუნეა საჭირო, რომ ქართველი ხალხი გაოგნებიდან გამოვიდეს და მისი განვითარება ნორმალურ პირობებში ჩავარდეს...

დავუმატებთ ჩვენ.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

✦ ხვალ, 13 ივნისს, შავი ქვის საბჭოს დარბაზში, საღამოს 8 საათზე შესდგება ქუთაისის ქალთა საზოგადოების წევრთა წლიური საზოგადო კრება. კრებამ უნდა აირჩიოს გამგეობის ახალი წევრები.

✦ ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიამ ქალაქის გამგეობას სთხოვა, რომ თანახმათ სამოსწავლო ოლქის განკარგულებისა, ქუთ. პირველ დაწყებით სკოლებში სწავლა აგვისტოს 7 რიცხვიდან დაიწყოს.

✦ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის გამგეობამ სათანადო მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ ხსენებული სასწავლებელის შენობის რემონტისათვის ხაზინამ მისცეს მათ 5,860 მან. და 97 კაპ.

✦ ქ. ბაქოში ტატიანას სახელობის კომიტეტის გამგეობას „ტატიანას დღეს“ შეუკრებია 10,000 მინეთი.

✦ რედაქციამ მიიღო ქართველთა შორის წ.-კ. გამავრც. საზოგადოების ქუთაისის განყოფილების 1913 და 1914 წ.წ ანგარიში. ანგარიშში ბევრი საყურადღებო ცნობებია სამკითხველოებისა და საზოგადოების სტამბის შესახებ. ამ ანგარიშს დაწვრილებით შემდეგ განვიხილავთ.

✦ ხვალ, 13 ივნისს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოხდება დრამატიული საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება. კრება აირჩევს გამგეობის ახალ წევრებს

✦ ქალთა საზოგადოების სახელოსნო სასწავლებლის მოწაფეებ[illegible]ალების საზაფხულოთ 20 ივნისისა[illegible] დაითხოვენ.

✦ ქუთ. რკინის გზის მოსამსახურეებს გამოეცხადათ, რომ ამ ზაფხულს დასასვენებლად არავის დაითხოვენ, თუ მძიმე ავადმყოფი არ არის.

✦ როგორც „ზაკ. რეჩს“ დეპეშით ატყობინებენ პეტროგრადიდან, სამშაბათს, 9 ივნის აკაკის დაბადების დღეს, პეტროგრადის ყაზანის საკრებულო ტაძარში გადახდილ იქმნა პანაშვიდი აკაკის სულის მოსახსენებლათ. პანაშვიდს დიდძალი საზოგადოება დასწრებია.

✦ ქალაქის გამგეობამ ქალაქის ქუჩების განათების მოიჯარადრეს ბ-ნ სარეკს ჰასუხი მით მოსთხოვა, რისთვის არ იყო განათებული ზოგი ქუჩები 25,26,27,28,29,30 და 31 მაისსაო.

✦ ქალაქის გამგეობამ ბ. გუბერნატორს მსჯავრის დასადებად გუგზავნა მაზრის ზედამხედველის მიერ შედგენილი ოქმები.

✦ შაბათს, საზოგადო საკრებულო საზაფხულო დარბაზში მოხდება საოჯახო საღამო, რომლის შემოსავალის ათი პროცენტი გადაიდება ჯარში გაწვეულთა ოჯახების დასახმარებლათ.

✦ ჯარში გაწვეულთა ოჯახების დამხმარე ქუთაისის სათავად-აზნაურო კომიტეტს ამ ჟამათ გასარჩევათა და დასაკმაყოფილებლათ აქვს 150 თხოვნა. ამ თხოვნებს კომიტეტი ამ დღეებში გაარჩევს.

✦ 30 მაისს, გალიციაში მტერთან გრძოლაში გმირულათ დაიღუპა კავკასიის სახელოვანი პოლკების შტაბს კაპიტანი ალექსანდრე მიხეილის ძე თ-დი ვანჩაძე.

✦ როგორც ს. ხიდისთავიდან გვატყობინებენ, იქ ამ დღეებში ძალზე ადიდებულა მდ. ტანი, რომელსაც სოფლის რკინის ხიდი წაუღია. ამ ხიდით რამდენიმე ათეული სოფელი სარგებლობდა. უხიდოებით გლეხები მეტად შეწუხებულნი ირიან.

✦ ქ. ფოთში ამ დღეებში ქ. მარიუპოლიდან მოსულა სანოვაგით დატვირთული გემი „ზოია“. გემით მოტანილი სანოვაგე ქ. თბილისს ეკუთვნის.

✦ ამ ბოლო დროს ქუთაისში სიცხეები დაიწყო.

✦ ბაზრის ზედამხედველის თანაშემწემ პ. კორძაიამ მწვანე ბაზარში ოქმი შეუყენა ონისიმე კვიცარიძეს დილით ადრე რამდენიმე ტომარა კართოფილის ყიდვისათვის.

✦ ქალაქის სანიტარმა ი. ჩაჩანიძემ ქიმ. ლაბარატორიაში შესამოწმებლათ გაგზავნა მეორე ხარისხის რესტორანებიდან სხვა და სხვა ღვინოები.

ბ ე დ ს.

ბედო შავპირო უპირო,
ამრევო გზა და კვალისა...
აკაკი.

შავ-ბედო! ბარემ მომიძულე, ნუღარ მაწვალებ,
ხანდისხან იმედს ნუ მიქადი, ნუ ჩამჩურჩულებ;
ბარემ მთლად მამცნე ამა სოფლის უარისყოფა—
რად მინდა, აბა, მე ასეთი სიცოცხლე—ყოფა.
შენის ბრჭყალებათ დამონებულს აღარა მაქვს ღონე,
ვერ დავეხმარე, ჩაგრულთა ხმა რომ გავიგონე,
და მე ლაჩარი ფუჭადა ვთვლი განვლილ დღე-ღამეს
თუ კი ამ ყოფნით ვერ ვიხილავ ერთხელ სიამეს...
ზოგჯერ ოცნება ცის სივრცემდი აღმიტაცებდა,
და წუთით მაინც იმედები გულსა მიტკბობდა.
დღეს არ ვსტყუვდები! ნეტარებით არ ვწვდები ცასა,
და ცოვრებისა სიდუხჭირეს ვერ უხვევ გზასა...

პასიკო.

თბილისი.

— ვაჟა-ფშაველას ავადმყოფობა. პოეტი ვაჟა-ფშაველა აგერ ორი დღეა გამოუმჯობესების გზას დაადგა.

— სათავად-აზნაურო არჩევნები. თბ. გუბერნიის თავად-აზნაურობამ სტიპენდიათა და შემწეობათა გამნაწილებელ კომისიის წევრებად აირჩია: თბ. მაზრიდან: ი. ს. ელიაშვილი და თ-დი ი. გ. ბარათაშვილი; გორის მაზრიდან: თ-დი დ. ა. ფავლენიშვილი და თ-დი ნ. ს. ციციშვილი; თელავის მაზრიდან: თ-დი ლ. გ. ჯანდიერი და თ-დი მ. დ. ჭავჭავაძე; სიღნაღის მაზრიდან: თ-დი ი. რ. მაყაშვილი და თ-დი ნ. ბ. ჩერქეზიშვილი, დუშეთის მაზრიდან: გ. ა. ყარანგოზიშვილი და თ-დი ა. ი. ჯამბაკურ-ორბელიანი და ბორჩალოს მაზრიდან: თ-დი ნ. მ. მელიქიშვილი და ი. შ. შანშიაშვილი.

— ქალაქთა კავშირების გამგეობის კავკასიის რწმუნებულმა ხატისოვმა საქველმოქმედო ქართულ საზოგადოებას გადასცა 500 მანეთი ბათუმის ოლქის მცხოვრებთა საექიმო დახმარების მოსაწყობათ; ამავე მიზნით ბ-ნმა ხატისოვმა ამდენივე თანხა წინათაც გადასცა იმავ საზოგადოებას.

— საქველმოქმედო ქართული საზოგადოება აარსებს საექიმო, იურადიულ და სამეურნეო სექციას. ფრიად სასურველია მეტადრე ამ უკანასკნელის დაარსება, რადგანაც ჩვენი ქვეყანა მოუსავლობის გამო რამდენიმე წელიწადია დიდ გაჭირვებას განიცდის. თუ სამეურნეო სექცია მცირე დახმარებას მაინც გაუწევს მცხოვრებთ, ეგეც დიდი საქმე იქნება.

მცირე შენიშვნა.

ბ. ფარცხნალელის მღვდლებისადმი მოწოდების საპასუხოთ, „სამშობლო № 96“) რომ არის; სამღვდელოება ამ ორი წლის განმავლობაში, არავითარ მონაწილეობას არ იღებს გაჭირვებული ხალხის დახმარებაშიო გთხოვთ ჯერჯერობით მოათავსოთ შემდეგი: დღიდგან ომის დაწყებისა ბ ყ-დ. სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის განკარგულებით ყოველი ეკკლესიის კრებული ომში გაწვეული ჯარისკაცთა ოჯახების სასარგებლოთ იხდის წლიურათ ოცდა ათ მანეთიდგან სამოც მანეთამდე. გარდა ამისა, თვით ომში დაჭრილთა სასარგებლოთ კრებული თითოეული ეკკლესიისა ვალდებულია გადიხადოს 1% თავისი საკუთარი ჯამაგირიდან; ამ ანგარიშით, თითოეული მღვდელი წლიურათ იხდის მანეთიდან სამ მანეთამდე და მედავითნე—ორი აბაზიდან მანეთამდე. სულ, დრამა ჯამაგირიდან კრებული წლიურათ იხდის არა ნაკლებ სამი თუმნისა. ამ ანგარიშით სჩანს, რომ სამღვდელოება გაჭირვების დროს უყურადღებოთ არ სტოვებს ხალხს. რაიცა შეეხება აჭარისა, გურიისა და სამეგრელოში დამშეულთა დახმარებას, ამის შესახებ მოვახსენებთ ბ. ფარცხნალელს, რომ უკვე არსებული საქველმოქმედო საზოგადოება, რომლის შემადგენელობაში სამღვდელოებაც არის, უსათუოდ დააკმაყოფილებს გაჭირვებულთ. მაინცდამაინც საჭირო არ არის ყოველი ჩვენი შეტანილი წვლილი გაზეთის ფურცლებზე გამოცხადდეს, რაც თითქმის ეწინააღმდეგება ქველმოქმედების იდეას. ამიტომ დაწვრილებით ყოველი ჩვენი ნაბიჯის აღნიშვნა ამ ნიადაგზე უხერხულათ მიმაჩნია

ბლაღოჩინა მღ. ვ. ჯაფარიძე.

სიტყვა.

(წარმოითქვა აკაკის საღამოზე 9 ივნისს).

კიდევ ცხადათ გვიდგია თვალწინ თებერვლის დიდებული სურათი, რომელიც გადაიშალა სამშობლო მიდამოზე; კიდევ ცხადათ ვგრძნობთ იმ დიდ შთაბეჭდილებას, რომელიც განვიცადეთ დიდებული აკაკის უკანასკნელ დღეს, როცა მთელი

რომელი გვარის კაცია?
ჰკითხა ბატონმა... რა იცის,
რომ ქალსა კაცურ აცვია.
— მათე ვარ, შენი ჭირიმე!..
მოვდივარ შორის შორადა
ჯავრი მჭირს ავკაცებისა
ცეცხლი მწვავს ერთი-ორადა.
მინდა, რომ გეყმო ერთგულად,
წელზე ვატარო ხმალია
შენის ბრძანებით დავიცვა
ქვრივ-ობერ, ობოლ-ქალია.
ნეფესა მოეწონების
სიტყვა — პასუხი მათესი,
თავის მახლობლად დანიშნა
გმირი სიკეთის დამთესი“.

მართლაც, პირველ დანახვაზეევე ისე მოსწონებია მეფე ერეკლეს ახალგაზდა და სიცოცხლით სავსე მათე—მაია, რომ მას დიდი სიამოვნებით მიუღია იგი თავის რჩეულ რაზმში.

აი, ამ დროიდამ დაწყებული ჭაბუკმა მხედარმა იჩინა თავი და მალეც მოიხვეჭა ქართლ-კახეთში გმირის სახელი.

პირველ ბრძოლაშივე ლეკებთან ოცი წლის ქალმა, კაცურად ჩაცმულმა, მთელ ქართველ ჯარს და მის სარდლებს ნათლად დაუმტკიცა თავისი არა-ჩვეულებრივ სიმამაცე და სიმარდე. მეფე ერეკლე, რომელიც ამ ბრძოლაში ცხარე მონაწილეობას იღებდა, აღტაცებული იყო მათეს მოქმედებით. გამარჯვების შემდეგ იგი სიამოვნებით გადაეხვია მათეს, ორთავე ლამაზ თვალებში აკოცა და თან მხიარულად შესძახა: „შენ კი გენაცვალე, ჩემო მათე!.. კაცი შენა ყოფილხარ და ქუდიც შენა გხურებია!..“

ლეკებზე გამარჯვება იყო მხოლოდ დასაწყისი მათეს სამხედრო მოღვაწეობისა. მას კიდევ ბევრჯელ მიუღია მონაწილეობა სხვა და სხვა ბრძოლაში და უომნია თავის დავიწყებამდი. მაგრამ უფრო აღსანიშნავია მათეს ვაჟკაცობა, მისი ნამდვილი ფალავან-გმირობა, რომელიც მან გამოიჩინა სოღანლუღის ახლო თათრებთან ბრძოლაში...

სომხითს რო თათარი დაეცა, მეფემ სწრაფულ გაგზავნა მოწინავე რაზმი, რომელიც შესდგებოდა „ჩრჩეული“ ბიჭებისაგან. მათ რიცხვში ერთი პირველი ალაგი ეჭირა ჩვენ ცნობილ მათეს...

ეს მოწინავე რაზმი შეხვდა თათარს სოღანლუღის ახლო და სასტიკი იერიში მიიტანა მტერზე. ბრძოლა რო გახურდა, მათემ მიბაძა „პატარა-კახის“ ჩვეულებას: იგი ხმალ ამოღებული ქორივით შევარდა მოწინააღმდეგის შუა გუნდში და ერთი ძლიერი ხმლის დაკვრით თავი გააგდებინა თათრების ბელადს..

უსარდლოთ დარჩენილი მტრის რაზმი ისე შეშინდა, რომ გაქცევაც კი ვერ მოახერხა. მტერი სამარცხვინოთ დამარცხდა. ბრძოლის ველი მათი ლეშებით აივსო. ბევრი ტყვედ ჩაუვართათ ქართველებს, ეტვი არ არის, რომ ასეთი სწრაფი გამარჯვება მოხდა უშიშარი მათეს წყალობით..

გამარჯვების შემდეგ ჩვენი მხედრობა დიდის სიხარულით დაბრუნდა თბილისში. ჯარის უფროსმა მაშინვე მოახსენა მეფეს ახალგაზდა მეომარის გასაოცარი გამბედაობის და სიმარდის შესახებ. ამის გაგონებაზე ერეკლე აუწერელ აღტაცებაში მოვიდა, მის წრფელ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა...

დაინახა თუ არა გმირი მათე, მან მაღალი ხმით მთელი ჯარის წინაშე ასეთი სიტყვებით მიმართა მას: სახელოვანო ჭაბუკო! დღეიდან შენ მე ნამდვილ შვილად მიმაჩნიხარ.. ისე სვინდისიერად და თავგამეტებით შეასრულე მამულიშვილური მოვალეობა, რომ ამაზე მეტი აღარ შეიძლება ადამიანმა მოგთხოვოს.. ნებას გაძლევ დღეიდამ აღარ მიწოდო მეფე, არამედ—მამა!“..

ამის შემდეგ მეფე ერეკლემ ძალიან დაიახლოვა ნიჭიერი მათე და იშვიათი ნდობით ეპყრობოდა მას. ხალხური ლექსის თქმის არ იყოს „ნეფესა მოეწონების სიტყვა-პასუხი მათესი, თავის მახლობლად დანიშნა გმირი, სიკეთის დამთესი“.

ჭკვიანმა მათემაც ისარგებლა მეფის ასეთი თანაგრძნობით და შველოდა მას, რითაც კი შეეძლო. განსაკუთრებით მან ყურადღება მიაქცია შინაურ მტრებს და დაუზოგველათ სდევნიდა ყოველგვარ სიბოროტეს და უსამართლობას...

ნუ დაივიწყებთ იმ გარემოებას, რომ მე-18 საუკუნეში ჩვენ ქვეყანას აოხრებდნენ არა მარტო გარეშე მტრები; თვით საქართველოშივე იყო ბევრი ბოროტი და თვითნება ბატონი, რომელიც მდაბიო ხალხს სტანჯავდა და სულს ართმევდა. თავისი უდიერი მოპყრობით ასეთმა ვაჟ-ბატონებმა სულ გააღატაკეს და მიწასთან გაასწორეს ზოგიერთი სოფელი.

შემდეგი მიგალითი ახასიათებს მათეს, როგორც ბეჩავ გლეხთა ინტერესების დამცველს.

რამოდენიმე უზნეო ბატონს სპარსელებისთვის მიეყიდნათ თორმეტი გოგო-ბიჭი. ამ გარემოებამ დიდად შეაწუხა გლეხობა. ბევრი იჯავრეს ტანჯულმა მშობლებმა, ბევრი იცეს თავში და ბოლოს გადაწყვიტეს, მოეხსენებინათ, სადაც ჯერ არს, თავიანთი ბატონების ბოროტ-მოქმედება. გაგზავნეს თბილისში ერთი გამოცდილი მოხუცი კაცი; მას რამოდენიმე სხვა გლეხიც გაჰყვა. ამათ უნდა პირის-პირ ენახათ მეფე ერეკლე და საჩივარი მიერთვათ. სასახლის წინ შემთხვევით მათ შეხვდათ

შეიარაღებული ახალგაზდა მხედარი. ეს იყო მათე—მაია. მან გამოჰკითხა მოხუცი გლეხს ქალაქში. ჩამოსვლის მიზეზი. მოხუცმა დაწვრილებით ყველაფერი უამბო. მათე საშინლად აღელდა, როცა ეს გულსაკლავი ამბავი მოისმინა. მან მაშინვე მოიხმო თავისი ამხანაგები და გადასცა მათ მოხუცი გლეხის ნაამბობი. მაშინვე სწრაფად შეკაზმეს ცხენები, შეიარაღდნენ და მათეს წინამძღოლობით გამოუდგნენ სპარსელებს. სოფელ ლილოს ბოლოს რომ მიუახლოვდნენ, მათ შემოესმათ ბავშვების გულსაკლავი ბღავილი.. რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, გამოაქანეს ცხენები.. მალე დაეწივნენ სპარსელებს და სულ ერთიანად ამოხოცეს.. ჩვენთვის ადვილი გასაგებია, თუ რა გრძნობებს განიცდიდენ იმ დროს ტყვეობისაგან განთავისუფლებულნი ბავშვები: სიხარულისაგან არ იცოდნენ, რა ექნათ!.

ეს თორმეტი გოგო-ბიჭი მათემ მოიყვანა მეფის სასახლის კარზე. ჯერ თითონ წარსდგა ერეკლის წინაშე და აღელვებული ხმით მოახსენა შემდეგი:

— ბატონო მეფევ!. ნება მიბოძეთ რამდენიმე საჩივარი მოგახსენოთ.. ნეტავი როდის დადგება ის ნეტარი დრო, როცა გლეხებს შეაშრებათ თვალზე ცრემლები?.. ნეტავი როდის გადმოხედავს მათ მაღალი ღმერთი და იხსნის ტანჯვა-ვაებისაგან?...

— შვილო, რაზე ამბობ მაგას?. —ჰკითხა მეფე ერეკლემ მათეს.

— რაღა რაზე, შენი ჭირიმე!—გაბედულათ უპასუხა მან,—ზოგიერთი ბატონების წყალობით გლეხობა განადგურდა, სრულიად გაწყალდა. ბედკრულ გლეხთა ჭირ-ვარამს საზღვარი არა აქვს.. ბოროტმა პირებმა აოხრეს სოფელი.. ბევრმა მთელი სოფლის გლეხობა დაყიდა სხვა და სხვა ქვეყნებში. ვინც გადარჩა, იმათ სული ამოართვეს განუწყვეტელი მუშაობით.. ამას წინათ, შენი ჭირიმე, ერთი დედაკაცი შეებათ კალოში და იმ უბედურმა უღელშივე სული დალია.. სამწუხაროა, დიდებულო მეფევ, ასეთი ამბები. თქვენ მოვალე ხართ მოსპოთ ბატონების ბოროტება, უნდა სწრაფულ მოუღოთ ბოლო ამით ავკაცობას და უკანონობას...

ამის პასუხად მეფე ერეკლემ უთხრა თავის ერთგულ ყმა მათეს შემდეგი:

—ბატონებზე საჩივარი ბევრი ისმის... მათი საქციელი, თუ კი ყველა ეს მართალი გამოვა, ქვეყნის დამღუპველია; მხოლოდ ეს მე მესმის **სიტყვით, საქმით კი ვერას ვხედავ**... როგორ დავსაჯო ისინი, თუ ჩვენის თვალით ამას არ ვნახავთ...

ბატონო მეფევ!—ცრემლ-მორეულმა წამოიძახა მათემ: აი პირველი მე გახლავარ ამ ავკაცობის სხვერპლი, მე, თქვენი მორჩილი მონა მათე, ობოლი და ბედისაგან დაჩაგრული გლეხი... მეორე მაგალითი, შენი ჭირიმე, გუშინ მოხდა: თქვენთან გიახლათ სოფლიდან ერთი მოხუცი გლეხკაცი... მასთან ერთად იყვნენ სხვებიც. მათ თქვენი ნახვა უნდოდათ, რომ საჩივარი მოეხსენებიათ იმ ბატონებზე, რომელთაც სპარსელებისათვის გლეხის გოგო-ბიჭები მიეყიდნათ... ეს ამბავი მოხუცმა მე გადმომცა მთელი სოფლის დავალებით. მე ის გლეხები თქვენამდი არ მოუშვი... მაშინვე ამხანაგების დახმარებით დავეწიე იმ ურჯულოებს ლილოს ახლო და წავართვი საბრალო ბავშვები... აჰა! ბატონო მეფევ, ამათაც ახლავე წარმოვადგენ თქვენს წინაშე...

გაათავა თუ არა ეს სიტყვები, მათე შურდულივით გამოვარდა სასახლიდან და მალე შემოიყვანა თორმეტი თვალ-ცრემლიანი გოგო-ბიჭი.

აი ესეც—უთხრა მან მეფე ერეკლეს, **ჩემი სიტყვების დამტკიცება.**

ალ. გარსევანიშვილი.

(შემდეგი იქნება).

ქართველი ერი შეერთებული ერთი გრძნობით, ერთსულოვან გლოვას გამოხატავდა, საერთო ცრემლსა ღვრიდა და თავის გულისთქმას ქვეყნით ზეცას აღმართავდა, საითაც დიდებული მგოსნის სული მიისწრაფოდა.

საქართველომ იგრძნო ვინ იყო აკაკი, ქართველმა ერმა იცნო თავისი მოძღვარი, დიდებული მხატვარი, ეროვნული მიმდინარეობის დარაჯი და საუკეთესო მომავლის წინასწარ დამსახავი. თვით აკაკის პიროვნება, მისი გარემოება და სახელი დაისახა ეროვნული მისწრაფების სიმბოლოთ.

ეს მომენტი იყო ცხადი ნიშანი ეროვნული თვითცნობიერების განმტკიცებისა და თავდები ბრწყინვალე მომავლისა. სჩანდა, რომ ქართველმა ერმა გაარკვია საქე წინმსვლელობისა და ამცნო ქვეყანას თავისი ვინაობა. აი, ამ დროს გარდილახა სიკვდილის ძალა და ქართველთა ბულში აღიმართა აკაკის ძეგლი, რომლის ცხოველმყოფელი ელფერი მუდამ ააფრთოვანებს და გააცისკროვნებს ჩვენ შთამომავლობას.

ეთნოგრაფიული საზოგადოება, რომლის წმინდა მოვალეობაა სავსებით შეინახოს და დაიცვას სამშობლოს ყოველივე განძი, ნაშთი, დიდება, ვალათ იდებს დაუვიწყარი აკაკის ხსოვნის აღსაბეჭდათ იდღესასწაულოს 9 ივნისი—მისი დაბადების დღე, როცა დიდებული აკაკი,, ვით სხივმოსილი ვარსკვლავი, მოევლინა სამშობლოს და ზეციური ქნარი ააწყო ჩვენი ეროვნების გასამტკიცებლათ. ვალათ დავიდეთ წელიწადში ერთხელ აღვადგინოთ საზოგადოების მეხსიერებაში სრული შთაბეჭდილება აკაკის პიროვნებით გამწვეული და სამშობლოს სხვა და სხვა კუთხეში მისი სახელით მოვაწყოთ ის, რაც გააცოცხლებს წარსულს. ამით გვინდა უკვდავ ვყოთ ჩვენ ხსოვნაში დიდებული აკაკის ქვეყნათ არსებობა; ამით უნდა დავანახოთ მომავალ თაობას აკაკის უკვდაობა.

ჩვენ დაუდებთ საფუძველს ამ ეროვნულ შენობას, რომლის მართვაც ევალება მომავალ თაობას. ჩვენ გვსურს გავაღრმაოთ აკაკის ხსოვნა და ამით ვსძლიოთ სიკვდილი, დროსა და მანძილის გავლენა და დავამკვიდროთ შეუწყვეტელი მიმდინარეობა ეროვნული ზრდა-განვითარებისა. ჩვენ გვსურს დავსწეროთ მომავალ მამულიშვილთა გულის ფიცარზე ის ანდერძი, რომელიც აკაკის ცხედარმა გვიკარნახა:

არ დავივიწყოთ ეროვნების მოძღვარი; სავსებით დავიცვათ მისი მოძღვრება, რომლის საგანს შეადგენდა სატრფო—სამშობლოს სამსახური.

დღევანდელ დიდმნიშვნელოვან სალამოს ქართველი ხალხი, სხვა და სხვა ადგილს შეჯგუფული, ღრმა რწმენით გამსქვალული, შესცქერის დიდებული მგოსნის სურათს და ეუბნება: არ მომკვდარხართ, არც მოკვდები; შენი კალმით შემზადილი სამშობლო ნიადაგი უკვე ნოყიერია; შენი სიტყვები კეთილ თესლათ ჩათესილი, ახალ-ახალ ნაყოფს იღებს; შენი მუზა მუდამ გვერდით უტრიალებს და მავნე სულს არ უშვებს; შენი ცრემლი, როგორც ნამი სასიცოცხლოთ ეწვეთება; შენი სახე მნათობივით მზის სხივსა ჰფენს და ნაყოფი შენი შრომის თვით ეს დღეა. ხალხის სიყვარული და პატივისცემა იყოს შენთვის გვირგვინი, მან შეამკოს შენი სახე ჩვენ ძვირფას მამულიშვილთა პანთეონში.

ნეტარება შენ სულს და დიდება იმ ქვეყანას, რომელსაც შენ ეტრფოდი!

ტრიფონ ჯაფარიძე.

იძულებითი განმარტება.

გაზეთმა ,,თანამედროვე აზრმაც" თავის თავი მოვალედ ჩასთვალა გამოსარჩლებოდა იმ მუშებს, რომლებიც ჩვენ გაზეთზე მუშაობდნენ.

ჩვენ დიდი ხანია ვიცით, რომ „თანამედროვე აზრი" მუშათა ინტერესებს თავიანებურათ იცავს და ამაში გასაოცებელს არასა ვხედავთ. მაგრამ ვერ გაგვიგია რა მანქანებით არის მოსახერხებელი ის, რომ ისეთ საკითხში, როგორიც არის ჩვენი ვითომდა, კონფლიკტი ასოთ ამწყობებთან ერთი გაზეთი მეორის წინააღმდეგ გამოვიდეს?

,,სოციალურ რევოლუციის" მოხდენა ისეთ საგნის გულისათვის, როგორიც არის ჩვენი ,,კონფლიქტი" და „ტრეიკბრეხერობა" ალბათ ასოთ ამწყობთა ,,საკუთარ" ინტერესებზე და ,,ცხვრის ტყავში გახვეულ მგლებზე". ლაპარაკი იქ, სადაც საკითხი შეხოლოთ ბატონ ასოთ ამწყობთა უსამართლო და უტაქტო მოქმედებას შეეხება-სერიოზულ ბეჭდვითი ორგანოსთვის საკადრისი არ არის, თუგინ ეს ორგანო მუშათა დამცველიც იყოს.

ასოთ ამწყობნი ფაბრიკასა და ქარხნებში კი ან მუშაობდნენ, არამედ მუშაობდენ გაზეთზე. გადაწყვეტით ვამბობთ, რომ ისინი პირდაპირ რედაქციისგან კი არ იყვნენ დაქირავებულნი, არამედ სტამბის პატრონისგან. და როდესაც მათ მუშაობაზე ხელი აიღეს და მკითხველების წინაშე რედაქციას მოვალეობის ასრულება ხელი შეუშალეს.- რედაქციამ კატეგორიულათ მოსთხოვა სტამბის გამგეს ეს საკითხი მოეწესრიგებინა.

ჩვენ ვეკითხებით გაზეთ „თანამედროვე აზრის" რედაქციას, თვითონ როგორ მოიქცეოდა ასეთ შემთხვევაში? შვიდ მუშის **კაპრიზს** და ჯიუტობას ანაცვალებდა თავის მკითხველთა ინტერესს, თუ მოიქცეოდა ისე, როგორც ჩვენ მოვიქეცით

თუ გაზეთს ისე აქვს წარმოდგენილი თავისი მოვალეობა, **რომ მუშები მაშინაც კი უნდა დაიცვას, როცა ესენი აშკარა უსამართლობას სჩადიან** ასეთი შეხედულება ჩვენთვის სავალდებულო არ არის.

რაზე მოხდა ეს ,,კონფლექტი"? მუშები ასახელებენ ორ მიზეზს: პირველი, რომ აღნიშნულ დროზე ფულს ვერ იღებდენ. თუ ეს იყო მიზეზი ,,ზაბასტოვკისა", რაღა მაშინ გაიფიცნენ ისინი, როცა ფული მიღებული ჰქონდათ. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ როცა მათ სამუშაოზე ხელი აიღეს, რედაქციას მათი კაპიკი არ მართებია. ჩვენ კი, ჩვენის მხრით, შეგვიძლიან მოვიყვანოთ მაგალითი, როცა რედაქციამ ერთხელ მხოლოთ სამი საათით დაგვიანა ფული და იმ დღეს მუშებმა გაზეთი არ დაგვანებეს რის გამოც პროვინციაში დროზედ ვერ იქმნა გაგზავნილი ნომერი.

გეკითხებით თქვენ, არა როგორც მუშათა ინტერესების იდეურ დამცველთ, არამედ როგორც გაზეთის მუშაკთ-შესაძლებელი და მისაღებია ასეთი დამოკიდებულება რედაქციასა და მუშებ შორის?.

რედაქციას შეუძლიან დაარწმუნოს ,,თანამედროვე აზრი" და საბუთი არ აქვს გაზეთს არ დაგვიჯეროს, რომ უპირველესად ყოვლისა იგი ასოთ ამწყობთა ჯამაგირს ისტუმრებდა. მაგრამ არა გვგონია ,,თანამედროვე აზრმა" იმიტომ იკისროს ჩვენი გაკცხვა, რომ საზოგადოთ ქართული რედაქციები ხელ მოკლენი არიან და მართლაც შესაძლებელია ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნულ დროზედ ფულის მიუღებლობა".

ჩვენ საუკეთესო წარმოდგენისა ვართ ,,თანამედროვე აზრის" რედაქციაზე, მაგრამ მაინც გვეინტერესება ვიცოდეთ, როგორ ხდება ასოთ ამწყობთა დაკმაყოფილება ფულების მხრივ ამ რედაქციაში?

მეორე ბრალდება-რომ პასუხის მგებელი პირი არა სჩანდა და არ ვიცოდით ვასთან დაგვეჭირა საქმე, ულოდიკო ბრალდება არის, რადგანაც, კიდევ ვიმეორებთ, როდესაც მუშებმა ხელი აიღეს გაზეთზე და გაზეთი ამიტომ სამს დღეს იყო გაჩერებული, მათ მთელი ანგარიში მიღებული ჰქონდათ და სჩანს პასუხის მგებელიც ის იყო, ვისგანაც ანგარიშს იბარებდნენ.

ნუ თუ ამდენი ხნის განმავლობაში მუშები ისეთ პირთაგან იღებდნენ გასამრჯელოს, რომელიც არ იყო მათ წინაშე პასუხის მგებელი?

ხუთი-ექვსი თვის განმავლობაში ნუ თუ ვერ მიხვდენ, ვერ გაიგეს და ვერ დაინახეს ვინ იყო პასუხის მგებელი? მაშ სულელები ყოფილან და რაღა ჭკუას გვასწავლიან!

ან რაში მოეპრიანათ მათ პასუხის მგებელი, როცა მათ არა უპირდათ-რა და არც არა გასჭირებიათ-რა. ფულსა და მალალას დროზე იღებდენ, მოპყრობა თავაზიანი და ამხანაგური ჰქონდათ ჩვენგან და სხვა კი არა შეგვეძლო რა.!*).

*) როცა „იმერეთი" შეჩერდა და ჩვენ „სამშობლოს" გამოცემა განვიზრახეთ, ეს „კომპლექტი" მუშებისა მთელი თვე უკან დაგვდევდა და გვემუდარებოდა: ჩვენ გვამუშავეთო. ჩვენც ვიშუამდგოლეთ მესტამბის წინაშე, რომელსაც მათი მიღება არას გზით არ უნდოდა, რადგანაც ცნობილნი ყოფილან თურმე, თავისის უხასიათობით, ცუღლუტობით და უსამართლობით. მაგრამ ბ-ნმა მესტამბემ პატივი გვცა და ზოგიერთის გამოკლებით ამ კომპლექტს ,,მუშაო მისცა... დანაკლისი სხვა ასოთ ამწყობებით შეავსო. რედ.

მაგრამ, [illegible] გაძლენ, ზედმეტის წაგლეჯა მოინ[illegible] და მერე ისე ვერაგულათა და უ[illegible], რომ არც ერთი სამართლიანი [illegible]ური ადამიანი ამას ვერ მოითმენდა!..

ჩვენ ვიცოდით რა მათი ცბიერება და უტიფრობა და გათვალისწინებული გვქონდა-რა ჩვენი მოვალეობა მკითხველის წინაშე, ვცდილობდით, როგორმე დაგვემშვიდებინა იგინი, მაგრამ მოფიქრების ნებაც კი არ მოგვცეს.

სთქვეს და შეაჩერეს კიდეც გაზეთის აწყობა. ამითი მათ უნდოდათ თავისი ,,ძალა და ძლიერება" ეჩვენებინათ და იძულებით დავემორჩილებინეთ...

მაგრამ ნახტომი შეეშალათ. მათი საქციელი დაჰკმეს მესტამბემაც და სხვა მუშებმაც...

ახლა კი გამომდგარან და თვით მართლა **საქმით ქვეყანას ამომგდებნი,** სიტყვით, ხეპრენი და ნამუსით უტაფარნი, სხვას უკიჟინებენ „მგელ-კაცობასა" ტ ,,შტრეიკბრეხერობას". (საბრალო თუთუყუშები!).

კარგს ინებებდენ ,,მუშათა ინტერესების დამცველი გაზეთები", ჯერ საქმის ვითარება გაეგოთ და მერე გამოელაშქრნათ ჩვენ წინააღმდეგ, თორემ ასეთი სარჩლი ზარალის მეტს არას მოუტანს მშრომელ ხალხს და ნამდვილ მუშებსაც ჩირქს მოსცხებს.

ამით ვათავებთ ყოველ გვარ კამათს გონებით ბრმა და გულით მრუდე ჩვენ მოწინააღმდეგეებთან.

ქვეყანა ინგრეოდა და ტურა კი ქორწილს ეპირებოდა-ნათქვამია. სწორედ ამ „ტურას" გვაგონებენ ჩვენ ასოთ ამწყობათ ნამყოფნი, როდესაც თავის ,,გაფიცვით" ვითომ მუშათა ინტერესს იცავენ, იმ დროს როდესაც თავის ქვენაგრძნობას კი ემსახურებიან. სავალალო უფრო ის არის, რომ ასეთ მუშებს ,,გაზეთებიც" კი მხარს უჭერენ.

რა პატივი უნდა ჰქონდეს ასეთ გაზეთებს შესმენილ მკითხველთა თვალში?..

ვაი ჩვენ დაკნინებასა და დაწვრომალებას!..

ღია წერილი.

(ნაჯახევის სოფლის საზოგადოების მამასახლისს, ბათლომე ცხადაიას).

წავიკითხე თქვენი ჩემდამი სპასუხოთ მომართული წერილი. კარგი საქმეა კულტურული გზით თავის მართლება, მაგრამ მარტო გაზეთში წერა რომ კმაროდეს—ყოველ საძაგლობის გამართლებაც შესაძლებელი იქნებოდა. მე ბეჭდვითი სიტყვას პატივს ვცემ და ამიტომაც თქვენთვის ვრცელი პასუხის გაცემა საჭიროდ არ მიმაჩნია. მე ჩემს ბრალდებას თქვენს წინააღმდეგ წამოყენებულს ნათელს ვყოფ: მე დავამტკიცებ, რომ თქვენ.

1) შემთხვევით ამორჩეული ხართ (არა ჩემთვის—საზოგადოებისთვისაც, რადგანაც ასეთ პატიოსან და საზოგადოებისგან სიმპატიით აღჭურვილ მამასახლისს მთავრობისგან დათხოვის შემდეგ, როგორც იყო იგი ცხადია—მოსალოდნელი არ იყო თქვენი არჩევა არც არავითარი წინასწარი მოლაპარაკება თქვენს შესახებ არ ყოფილა. გარდა ამისა მტკნარი სიცრუეა, ვითომ თქვენ აგირჩიეს 403 ხმით 93 ხმის წინააღმდეგ, რადგანაც არჩევანი არ ყოფილა კენჭით.

2) რომ თქვენ ემსახურებით არა საზოგადოების ინტერესებს—არამედ პირადს.

3) რომ თქვენ მას შემდეგ, რაც საზოგადოებამ უარი გითხრა ჯამაგირის დანიშვნაზე, მიჰყავით ხელი მისს უსინდისო ექსპლატაციას.

4) თქვენ შეეცადეთ მიგეთვისებიათ საზოგადოების 400 მან; ვექსილებიც დროზე დასწერეთ, მხოლოდ შემთხვევით გამოაშკარავდა თქვენი უმგვანო საქციელა.

5) რომ თქვენ უწესრიგოდ იძლევით ბაშფორთს-- კანონი თქვენ არ გაძლევთ უფლებას ბაშფორთის გაცემისთვის სასყიდელი აიღოთ, თქვენ კი მრავალჯერ საფასური აღებული გაქვთ.

6) თქვენ საზოგადოების სურვილს არავითარ ანგარიშს არ უწევთ—საზოგადოება განაჩენს ადგენს და თუ ეს განაჩენი თქვენთვის საზარალოა—თქვენ მას არ ადგენთ საცა ჯერ არს.

გარდა ამისა მე თქვენ დაგიმტკიცებთ, რომ თქვენ არავითარ გზას არ ერიდებით, რომ რაც შეიძლება მეტი ქრთამი აიღოთ.

ყველა ამის დასამტკიცებლად და მსჯავრის დასადებად მე გიწვევთ სამედიატორო სასამართლოში. ჩემის მხრით ვნიშნავ მედიატორეებათ სტუდენტს ივანე (ლოლი) ლავრენტისძე იოსავას და ხორგის სოფლის სკოლის მასწავლებელს პლატონ თ. ბერაიას.

გთხოვთ თქვენც დანიშნოთ მედიატორეები. ვადას გაძლევთ ერთ კვირა ნახევარს დღიდან ამის დაბეჭდვისა.

ბესარიონ ჯორჯაია.

ფაქტიური შენიშვნების გამო.

„სამშობლოს" მე-94 №-ში მე დავწერე: ბ. „დე-ზის" აზრით „ჩვენს გალობას განვითარებული სმენის მქონებელი ვერ მოისმენს, რადგან იგი ყვავ ყორნის ჩხავილს და მომაკვდავი კაცის ხრიალს ჰგავს" მეთქი. ბ. დე-ზი გრძანებს: მე „ჰგავს" არ მითქვამსო.

ახლა შევადაროთ პირდაპირი მისი სიტყვები ჩემს ნათქვამს და შევიტყობ თუ სხვა გვარი მნიშვნელობა აქვს.

აი „სამშობლოს" მე-47 №-ში მისი ნათქვამიც: „ვისაც ოპერები მოუსმენია, ვისაც ოთხხმოვანი გალობა გაუგონია, ის ჩვენს სამხმოვან გალობას ვერ მოისმენს, მისი სმენა მას ვერ შეიმშვნევს, რადგან ეს ყვავ-ყორნის ჩხავილათ ესმის, მომაკვდავი კაცის ხრიალათ ეჩვენება.

ეტყობა ბ. „დე-ზს", რომ მისი ნათქვამი, მარგალიტებათ წყობილი ტერძონი, გალობის შესახებ აღარ მოსწონს და ახლა უნდა ყურთა სმენის მჩხვლეტი სისასტიკე ჩამოაცალოს, მაგრამ „ერთ გზის წარსულთა, არა არს მოქცევა".

მართალია „ჰგავს" ოარ გითქვამს ბ-ნო „დე-ზი", მაგრამ „ეჩვენება" და „ესმის" ხომ თქვით? საგანი-რათაც ეჩვენება კაცს, იმას ჰგავს. ჯოხი გინდ წაბლის ხისა დაგირტყამს ვისმესთვის და გინდ შინდისა, აქ გალახვას აქვს მნიშვნელობა და არა ჯოხს. ეს საძრახი ტერმონი რომ თქვენმა სმენამ და შეადარებამ გათქმევინათ? მაშ ცხადია, რომ თქვენ [illegible] მიხედვით, ჩვენი [illegible] ჩხავილს და მომაკვდავი კაცის ხრიალს ჰგავს. ამ შემთხვევაში ესმის და ჰგავს ორივე ერთსა და იმავე მცნებას ხატავს: კაცათ გეჩვენება (კაცს ჰგავს), ჩხავილათ ესმის (ჩხავილს ჰგავს).

ვისაც საქართველო, ქართული ენა, გალობა-სიმღერა, ხალისნობა, მისი მიწა წყალი მისი ჰაერი უყვარს, ასეთი შეუსაბამო სიტყვებით მონათლვა, ყველას ლახვრათ მოხვეთება ვულზე და მე თუ ბ. „დე-ზის" გამოგონილი, ჩვენი გალობის სიშნოს დამახასიათებელათ სიტყვები: ყვავ ყორნის ჩხავილი და მომაკვდავი კაცის ხრიალი არ მომწონს და შეუსაბამოთ მიმაჩნია, ნურავინ დაგვემდურება*).

დვდ. რ. ხუხდაძე.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ თქვენის გაზეთის უმახლობელეს ნომერში ადგილი დაუთმოთ შემდეგ წერილს:

ძველი თვალისის ქუჩის მცხოვრებნი დიდ შეგვწუხებს განვიცდით. ბირველი ჩვენი უბედურება გამოიხატება იმაში, რომ გზა არა გვაქვს და მეორე ის არის, რომ ქუჩაში ფარნები არ ინთება, თუმცა დიდის გაჭირვებით და ვაი ვაგლახით ფარნები დაგვადგმევინეს. აგერ ერთ თვეზე მეტი იქნება, რაც ამ ქუჩაში ფარნება არ ანთებულა.

კარგი იქნება ამ გარემოებას ჯეროვან უურადღებას მიაქცევდეს ქალაქის თვით მართველობა.

ილია იმერელი.

*) ჩვენ ვსპობთ ყოველგვარ კამათს ამ საგანზე, ვინაიდან საკითხი საზოგადო საქმის შესახებ ორივე მხრივ წვრილმან კინკლაობაზე დახურდავდა. რედ.

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე.**

დაიბეჭდა და იყიდება **კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში** (ქუთაისში)

„НОВОЕ СЛОВО"

ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავალად დასურათებული, ლექსიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვისა და წერის სავარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.

თვ. ფასი ყდით 2 აბაზი.

თ. მთავრიშვილის და ამხ.

წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიამ დაბეჭდა და გასაყიდათ გამოვიდა

„Цѣлебные минеральные источники въ Кутаисской губер." ц. 20 к. კ. მაჯავარიანისა.

იბეჭდება და მალე გამოვა ქართული ენის სახელმძღვანელო **„კაზმული სიტყვიერებითი ქრესტომატია: ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია"**, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. იქვე იყიდება ყოველნაირი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელონი, საყმაწვილო წიგნები, ახალი რუსული და ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, გეოგრაფიული ატლასები, კარტები და ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები. თ. მ.

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია

კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველ გვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა,** სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

— კ ა ტ ა ლ ო გ ე ბ ი უ ფ ა ს ო თ — თ.

ნუნისის სამკურნალო ბუნებით თბილი

ა ბ ა ნ ო.

აბანო ნუნისი, ანუ მუნისი, რომელიც შეუმჩნევია ხალხს, უსსოვარი დროიდან, როგორც მუნისაგან განმკურნავი უებრაი საშუალება, ჭეურნავს გასაკვირვლად ეოველნაირ კანის ავადმეოფობას და მასთან დიდ საშუალებას აძლევს ავადმეოფს სხვადასხვა სენის წინააღმდეგ. მდებარეობს შორაპნის მაზრაში, მოლითის სადგურიდან 6 ვერსის მანძილზე, მაღლობზე ნაძვნარში. სეზონი იწყება 15 მაისიდან და გრძელდება 1-ს ოქტომბრამდი

თ. 215